**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



სასტუმრო

**პურ-ღვინო**

გავმართე

გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლებში, სადაც აქამდე ეჭირა დიდ-ზურაბოვს. როგორც ბუფეტი, აგრეთვე ოთახები სრულებით ახლად არის გალამაზებული და გადაკეთებული. ევროპიულ საჭმელების გარდა „პურ-ღვინოში" მსურველი იშოვნის ყოველ გვარ კავკასიურ საჭმელებს, ქართლურს, იმერულს, გურულსა და სხვას, ნამდვილს ადგილობრივს გემოვნებაზედ მომზადებულს. კავკასიურ საჭმელების მოსამზადებლად განგებ მოწვეული გვყავს ადგილობრივი მზარეულები. ფასები ყველაფრისა ზომიერია.

(4—2) ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.


ტფილისი, 11 ოქტომბერი

ამას წინად ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ ამ უკანასკნელს ხანებში ბოლგარია მეტად გამბედავად და კადნიერად ჰმოქმედობსო. ამის ნიშნად იმას ასახელებდნენ, რომ ბოლგარია განსაკუთრებით კადნიერად ეპყრობა ოსმალეთსაო. როგორც ნათქვამი იყო, ბოლგარიის მინისტრმა ნაჩევიჩმა მოახსენა ოსმალეთის ვეზირს, რომ თუ ვინიცობაა ოსმალეთი ბოლგარიის მოსარჩლეობასა და მეგობრობას გადაუდგება, ბოლგარია იმ წამსვე თავისს თავს დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადებსო. დღეს, როგორც იწერებიან, ბოლგარია იმდენად კადნიერობს, რომ თუ ვინიცობაა ბოლგარიამ თავისი საქციელი არ შესცვალა, ოსმალეთის მთავრობა იძულებული იქნება სასტიკი ზომები იხმაროს იმისს წინააღმდეგ. ოსმალეთში ყველას კარგად ესმის, რომ ბოლგარია თავისით ვერ გაჰბედავდა ურჩობას, ეხლა-კი რაკი კადნიერება დაიწყო, ალბად ზურგიც მაგრად უნდა ჰქონდესო. ოსმალეთის მმართებლობის აზრით, დღემდე ბოლგარიას რუსეთისა ერიდებოდა და ეშინოდა, რადგანაც იცოდა, რომ რუსეთი პატარა სამთავროს კადნიერებას ხელს არ მოუმართავდა. ეხლა-კი, როგორც სჩანს, ეს შიში და კრძალვა ბოლგარიას დაჰკარგვია. ალბად რუსეთმა გადასწყვიტა ბოლგარიის საქმეში სრულიად არ გაერიოს, რაც უნდა ჩაიდინოს იმისმა მმართებლობამ.

ეს აზრი, სხვათა შორის, იმაზეა დამყარებული, რომ ამას წინად, როცა ვენის გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ უწესოება მაკედონიაში ბოლგარიის მმართებლობამ გამოიწვია რუსეთის ჩაგონებითაო, ერთმა რუსულმა ოფიციოზურმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ რუსეთმა სრულიად ხელი აიღო ბოლგარიის საქმეზე და იმისი ბედი თვით ბოლგარიის გამგებლებზე მიაგდოვო. ბოლგარიამ რუსეთის მამაშვილური პოლიტიკა არ შეიწყნარაო და ამიტომ, რაც უნდა ჩაიდინოს, გზა დაულოცაო. რუსეთს ბოლგარიაში არც ერთი აგენტი არა ჰყავს და ამიტომ ვენის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა სრულიად უსაფუძვლოაო.

რასაკვირველია, ოფიციოზურის გაზეთის სიტყვებს მცირე საბუთი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც ძნელი საფიქრებელია, რომ რუსეთმა თავი დაანებოს ბოლგარიას და ასე თუ ისე არ იზრუნოს იმისს ბედზე, რადგანაც ასეთი თუ ისეთი ყოფა ბოლგარიისა რუსეთის პოლიტიკისათვის [illegible]ნელო არ არის. ერთის სიტყვ[illegible], ბოლგარიის საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა დიდს კვალს დააჩნევს რუსეთის პოლიტიკას.

ოსმალეთის დიპლომატიის აზრით, რუსეთმა კარგად იცის, თუ რა განზრახვა აქვს ბოლგარიას, რომლის საქციელი ოსმალეთის მიმართ თვით რუსეთს ხელს უწყობსო; თუ ბოლგარიამ თავისი წადილი შეისრულა, ოსმალეთს დააქვეითებსო.

ზოგიერთთა აზრით, რუსეთს საფუძველი ჰქონდა ბოლგარიისათვის თავი დაენებებინა, რადგანაც დარწმუნდა, რომ გერმანია ამ საქმეში ხელს არ უმართავს და, ავსტრიისა და იტალიის კავშირზე დაიმედებული, ეცდება ბოლგარიის საქმე ამ სამთა კავშირის სასარგებლოდ გადასწყვიტოს.

ერთის სიტყვით, ბოლგარიის ეხლანდელი ყოფა მეტად საფიქრებელია და ნამდვილად არავინ იცის, რას მოასწავებს ბოლგარიის საქციელი და ვინ როგორ უყურებს ამ პატარა სამთავროს, ესე იგი ვინ არის იმისი მტერი და ვინ ხელის შემწყობი...

ა. ს—ა

## ახალი ამბავი

*** გაზეთ „კავკაზს" ატყობინებენ დეპეშით: 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის ორს საათზე, მათ უდიდებულესობათა გააბედნიერეს ქალაქი ბაქო თავის მობრძანებით. დროშებითა და მწვანით ჩინებულად მორთულს რკინის გზის სადგურზე მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ გარნიზონის უფროსი გრაფი ბორხი, ბაქოს ნავთ-სადგურის უფროსი თავადი უხტომსკი, ქალაქის თავი, ხმოსნები და მანდილოსნები. ქალაქის თავმა დესპოტ-ზენოვიჩმა მიართვა მათ უდიდებულესობათა პურ-მარილი ვერცხლის სინზე და ხელმწიფე იმპერატრიცას—ყვავილების კონა. ქუჩებზე, სადაც მათ უდიდებულესობათ გაიარეს, გამწკრივებული იყო ჯარები, ხალხი და მოსწავლენი. მათნი უდიდებულესობანი მობრძანდნენ ტაძარში, სადაც მათ უდიდებულესობათ მიეგება მისი ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოისა პალადი. ტაძრიდგან მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ გუბერნატორის სახლში, სადაც მომზადებული იყო სადგომი; გუბერნატორის სადგომის პირდაპირ გამწკრივებულნი იყვნენ საპატიო ყარაული აფშერონის პოლკისა, მთავრობის წარმომადგენელნი და დეპუტაციები. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ წმ. ნინოს სასწავლებელში, სადაც ტაძრის საძირკვლის ჩაყრას დაესწრნენ. სალამოს მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდებიან სურახანში ცეცხლ-მსახურთა კერიის სანახავად. ქალაქი ჩინებულად არის გაჩაღებული.

9 ოქტომბერს ალლუმის დროს, მისი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი დაინიშნა შირვანის პოლკის შეფად.

*** ბ-ნ გრიგოლ ჩარკვიანის სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად ახალი ქართული «კედლის კალენდარი» 1889 წლისა. კალენდარში იქნება მოქცეული ყოველ დღიური წმინდათა დღესასწაული: ქართველთა, სომეხთა და კათოლიკეთა, სახელმწიფო უქმეები, შესანიშნავი ამბები საქართველოს ისტორიისა და სხვანი. კალენდარი იქნება შუათანა ზომისა და ეღირება ორი აბაზი.

*** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად რუსულად დაბეჭდილი „ვეფხის-ტყაოსანი", ე. ს. სტალინსკის მიერ ნათარგმნი ლექსად; ამ წიგნშივე მოქცეულია ერთი თავი სომხურად ნათარგმნი ბასტამოვის მიერ, ერთი თავი გერმანულად ნათარგმნი არტურ ლეისტის მიერ, ერთი თავი ფრანგულად—აშაბორასი და ერთი თავიც ქართულად. წიგნში ორი სურათია: მეფე თამარისა და შოთა რუსთაველისა. ფასი ერთი მანათია და გამოცემულია ბ-ნის ჩარკვიანის მიერ.

*** ტყიბულიდგან გვწერენ: საბრალო გიგო კაციტაძის ავაზაკებისაგან გაცარცვამ და მოკვლამ მთელი რაჭის მაზრის მცხოვრებნი ძლიერ დააფრთხო. დღემდე-კი რაჭველები და ტყიბულელები მუდამ უშიშრადა და უიარაღოდ გადადიოდნენ და გადმოდიოდნენ ნაქერალის მთაზე

# ფელეტონი

### ჩვენის ოჯახის შვილი

### და იმისი უმეცრების მჭვალი.

ჩვენს ესრედ წოდებულს განათლებულს საზოგადოებაში ძალიან იშვიათად მოიპოვება ნამდვილი მეცნიერების მცოდნე და დამფასებელი კაცი, რადგანაც ჩვენში თვით მდაბიო მეცნიერებასაც ჯერ ფარსაგად ფეხი ვერ გაუდგამს და ქართულს საზოგადოებას, გარდა რამდენისამე კაცისა, ნამდვილ მაღალ მეცნიერებისა არა ესმის-რა, მართალია, ბავშვმაც-კი იცის, რომ მეცნიერების ნაყოფი ყველასათვის კარგი და სასარგებლო რამ უნდა იყოს, მაგრამ რას ეუბნება აწინდელი მეცნიერება, ან რა უნდა უთხრას საკუთრად კაცის გულსა და ჭკუას და ქვეყნიერების ცხოვრებას, ეს თითქმის მთელის ჩვენის საზოგადოებისათვის დაფარული და უცნობარია. ამ გვარს საზოგადოებაში ყოველს უმეცარს. კაცს შეძლება აქვს ერის წინაშე სიტყვა „მეცნიერება" წარამარად იხმაროს და მუდამ, როდესაც-კი თავისის გულის წადილის დასამტკიცებელი საბუთი შემოაკლდება, იგი მაშინვე «მეცნიერებას» წამოავლებს ხელს და იტყვის: ასე გვეუბნება მეცნიერება და ამიტომაც ასე უნდა მოვიქცეთო. ბევრჯელ მეცნიერება ღვთის სახელის მაგიერად იხმარება და თუ ოდესმე ჩვენს წარსულს ცხოვრებაში კაცის აზრისა და გრძნობის დასატუქსავადა და შესამუსრავად ეშმაკის სახელი იხმარებოდა, დღეს იმავე აზრით ცალიერი სიტყვა „მეცნიერება" იხმარება; დღეს ცრუ-მეცნიერებამ ქურუმის ქურქი წამოისხა და უკმევს საკმელს ადამიანის უპატიოსნებას და ამ გვარად სულითა და ხორცით ჰხუთავს ერისა და მთელის კაცობრიობის წინ წაწევას. ადამიანის მაღალ განმანათლებელს აზრს, იმისს ღრმასა და პატიოსანს გრძნობას, იმისს წმინდა და ჯერ კიდევ დაუკარგავს სინიდისს დღევანდელი ცრუ-მეცნიერება თავს მედგრად დასდგომია და კაცის ადამიანური, პატიოსანი, ქვეყნიერებისათვის სასარგებლო ნდობა და სურვილი ტყვედ დაუმწყვდევია. როდის გაეღება კაცობრიობის დაწინაურებულს აზრსა და გრძნობას ეს ტყვეობის დახშული კარი, ამისი თქმა ყოვლად შეუძლებელია. მხოლოდ ისკი ჩვენთვის ცხადია, რომ დღეს ცრუ-მეცნიერებს აღდგომა დასდგომიათ და უხარიანთ, ძალიან გულით უხარიანთ, რომ ჯერ ქვეყანა ბნელია. ამ გვარ მეცნიერთათვის მხოლოდ ის არის მოსაწონი და შესაწყნარებელი, ვინც დიდის ბაქი-ბუქით ამტკიცებს, რომ კამბეჩს ოთხი ფეხი აქვს და კაცს-კი ორიო; მოსაწონია, რადგანაც იმათი სწავლა-განათლება მხოლოდ იმასა სწვდება, რაც ადამიანის ორთავე თვალის ჩინით დაინახება; რაკი ფეხებს თავს დაანებებ და ადამიანის აზრზედ, იმისს ჭკუა-გონებაზედ, იმისს ზნე-ხასიათის შემუშავებაზედ იტყვი და ისურვებ რასმე, შენი გულ-მხურვალე კეთილი სურვილი დღევანდელს ცრუ-მეცნიერებას უმეცრების მჭვალს დააყენებს და ასტეხენ ერთს ალიაქოთს: არიქა, გვიშველეთ, ჩვენის ოჯახის ცხოვრება დაგვიქციესო. სწორედ ამ გვარი გავლენა ჰქონდა ჩვენს უკანასკნელს წერილს ზოგიერთის ქართველ ოჯახის შვილებზედ და ამიტომაც საჭიროდ ვრაცხთ დღეს ორიოდე სიტყვა კიდევ მოვახსენოთ მკითხველს ჩვენს ოჯახზედ.

არავისათვის საეჭვო არ არის, გარდა უმეცართა, რომ ვიდრე რომელიმე ერი სხვა-და-სხვა ნაწილად, ესე იგი წოდებად დაიყოფებოდა, დიდძალმა ისტორიულმა ხანმა გასტანა და თავისს ხანგრძლივს ცხოვრებაში მთელმა ერმა თავისი განსაკუთრებითი სულიერი თვისება შეიძინა და ეს თვისება ისეთი ძლიერია, რომ მან სამუდამოდ დაასვა თავისი ბეჭედი თითქმის ყოველს მხარეს ერის ცხოვრებისას; თუმცა უკანასკნელს დროს ერი წოდებად დანაწილდა და ამ განცალკევებას ცხოვრების მეტ-ნაკლებობა ჰქონდა საფუძვლად, მაგრამ უწინ საუკუნეთა განმავლობაში შეძენილი ნაციონალური თვისება ყოველს ცალკ-ცალკე წოდებას თითქმის მთლად და დაურღვევლად შერჩა; მართალია, ერი ორად, მშრომელთა და არა-მშრომელთა ნაწილად გაიყო, მაგრამ ამ გარემოებას არავითარი ისეთი გავლენა არა ჰქონდა ცალკე წოდების ცხოვრებაზედ... მართლა-და რა არის ერი, თუ-კი ყოველს იმისს წოდებას არა აქვს საზოგადო, თავისს ისტორიულს სარბიელზედ შეძენილი ეროვნული თვისება? ჩვენ სრულებით არ ვეხებით იმ ცვლილებას, რომელიც ერის სხვა-და-სხვა წყობათა ცხოვრებაზედ შრომის დედა-აზრმა მოახდინა; არ ვეხებით, რადგანაც იმას არცა ჰქონდა და არცა აქვს ერის ზნისა და ხასიათის გამფაქიზებელი მნიშვნელობა. ამ გვარი მნიშვნელობა შრომას მხოლოდ მაშინ მიეცემა, როდესაც ყოველის კაცისათვის თვით შრომა სანატრელი, საქებური და აუცილებელი საქმე იქმნება. დღეს-კი, სამწუხაროდ, ყველა დიდის უსიამოვნებით ეწევა თავისის შრომის ჰაპანს და თვით გლეხ-კაცს, როგორც შრომის წარმომადგენელს, ყველაზედ ძალიან გაუხარდება, რომ უშრომელად კეთილს ცხოვრებაში იმყოფებოდეს, ოღონდ-კი მწარე ცხოვრების გარემოებამ ნება მისცეს სხვისა ჯანით და ოფლით ისარგებლოს. ამ აზრის დასამტკიცებელი მაგალითი ყოველის ერის გლეხ-კაცობაში, როგორადაც ჩვენში, ბლომად მოიპოვება.

რამდენადაც ღრმა და თითქმის შეუცვლელია ის ეროვნული თვისება, რომელზედაც ჩვენა ვლაპარაკობთ დღეს და აგრეთვე ვამბობდით ჩვენს წარსულს წერილში, ამას ერთის მხრით ის გვიმტკიცებს, რომ ყველგან და ყოველთვის ეროვნული თვისება ერის ბუნებურ თვისებად იგულისხმება; მხოლოდ ყოველს ერს თავისი საკუთარი ხასიათი და შინაგანი ღირსეულობა აქვს; ოსმალეთის მცხოვრებლებს თავიანთი საკუთარი სული-

და არავის არ ახსოვს გაცარცვა და მოკვლა კაცისა. ეხლა-კი მგზავრები შეიარაღებულები დადიან. ვისაც-კი ჰქონია სახლში ძველის-ძველი მამა-პაპური ხანჯალ-ფიშტოები და ხმლები, ყველას ეხლა გამოუნახავს და ჰკიდია წელზე.

გიგო კაციტაძე ავაზაკებს ამ ნაირად მოუკლავსთ: როცა კაციტაძე მთის წვერიდგან ჩალმართში მონავალა, ჩამომხტარა ჯორიდგან, ქვეითად წამოსულა და მოსწევია სამს კაცს—შაბუროვის მუშებს; ჯერ გამარჯვება უთქვამსთ ერთმანეთისათვის, შემდეგ დაუწყიათ საუბარი და ოთხივენი ერთად წამოსულან. აბა რას წარმოიდგენდა საწყალი კაციტაძე, რომ ავაზაკებს ჩაუვარდა ხელში. საუბრის დროს ერთი მგზავრი უკან ჩამორჩენილა და, რაც ღონე და ძალა ჰქონია, დაუკრავს კაციტაძისათვის დიდი ჯოხი თავში და ერთის დარტყმით წაუქცევია. მერე მეორე და მესამე მიუყოლებია და მარილიეით დაუფშვნია თავი; ბოლოს დანით გამოუჭრიათ ყელი. ეხლა ამ ამბის გამგონი მოგზაურები არავის უცნობს არ იკარებენ თავის ახლო სალაპარაკოდ; თუთუნის მოსაკიდებელ ცეცხლსაც არ მოგაწოდებენ, ბევრიც რომ ეხვეწოთ.

*** **იქიდამვე**: 5-ს ამ თთვისას ჰ-ნმა გზათა მინისტრმა დაათვალიერა ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგი და ბ-ნ ნოვოსელსკის მღვიმე-მაღაროები, რომელიც ეხლა მზად არის. როგორც ამბობენ, მინისტრს ძლიერ მოსწონებია ლიანდაგი და მღვიმე-მაღაროები, სადაც იქნება არა ნაკლებ ხუთასის მუშისა—რაჭველობა და იმერლობა.

*** **ქართლიდამ** გვწერენ: ქართლში მშვენიერი დარებია, თითქმის ცხელა; წვიმას ისე მოელიან, როგორც თიბათვე-მკათათვეში. გუშინწინ, ამ თთვის 5-ს, წვიმა მოვიდა და აქაურობა გააგრილა. რთველები დაიწყო; ტკბილმა ფასში თანდათან იმატა. ამისი მიზეზი ის არის, რომ ვენახები გააფუჭა ნაცარმა და მილდიუმ; მილდიუ ხომ მოედებულია მთელს ქართლში; სულ გახმო ფოთლები ზაფხულშივე და გაყრევინა; რამდენიმე სოფელი დაუვლია ქიმიკოსს ბ-ნს გ. ალიბეგოვს და ნამდვილად აღმოუჩენია მილდიუ. თუ საშუალება არა მიიღეს-რა, ქართლი, რომელმაც ამ ბოლოს დროს მევენახეობას მიჰყო ხელი და შემუშავებაც უფრო რიგიანად დაიწყო, სრულიად უნდა გამოეთხოვოს ვენახებსა და ღვინის მოსავალს.

*** **სოფ. სიონი** (დუშეთის მაზრა): ეს სამი წელიწადია, რაც ჩვენს სოფელს საქონლის ჭირი შემოეჩვია, ასე რომ გვეწვევა თუ არა ჭირი, თუ რამე გვაქვს, ხელიდგან გამოგვაცლის და წაბძანდება, ადროებს იქამდე, სანამ საქონელს ხელ-მეორედ არ გაიჩენენ. ამ წარსულს ენკენისთვეში ვილაც მატყლის ვაჭარმა გ. მ—ა ტფილისიდამ გამოატარა ხარები, დაბანაკდა რამდენსამე ხანს სოფ. სიონში და იაჭრა, მაგრამ ეაი საბრალო სიონელებს.

ჯერ ნაყიდი ხარები გაუხდათ ჭირით ავად და შემდეგ ადგილობრივი ძროხები; ამათგან რამდენიმე თავი კიდეც იმსხვერპლა სენმა. კარგი იქნებოდა, ვისიც ჯერ არს, დროზე ეთხოვებინა ამ გარემოებისათვის ყურადღება.

*** **ხევიდგან**: საუბედუროდ, მოხევეებს პური არ მოგვივიდა კარგი. ჯერ ქერის მეტი არა მოდის-რა ამ ჩვენს ადგილში და მერე ისიც ან სიცივით გაიფინება, ან თოვლი მოასწრებს მოუმკველსავე და ან გვალვა გააფუჭებს. წლეს გვალვის გამო იმდენი ქერი არავის მოუვიდა, რომ 3 თთვეზე გაჰყვეს მოსავალი. მოხევეები ეხლავე შეუდგებიან კავკავიდგან სიმინდის ზიდვას; სანამ მეორე მოსავალი მოუვათ, სულ სიმინდით უნდა იკვებებოდნენ. პურის ფასს როგორმე იშოვნიან მოხევეები, მაგრამ ზოგჯერ ბალთის საბაჟოზე, საკმაო ფულს რომ ვერა შოულობენ, ან გუდა-ტომარს უნდა დააგირაონ, ან ნაბადი, ან სხვა რამე ნივთი, ვიდრე მოხევე უკან დაბრუნდება და ფულს ჩააბარებს.

◆◆

## რამდენიმე სიტყვა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შესახებ.

„ივერია“ ამ ხანებში რამდენჯერმე შეეხო სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს, რომელიც თხუთმეტიოდე წელიწადია მოძრავს მდგომარეობაშია და რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუპოვებია სამუდამო ბინა. ამ გარემოებამ დიდი ზარალი მისცა როგორც თვით სასწავლებელს, ისე სამღვდელოებას. ამ სასწავლებელს ხელს აწვდენს ფოთი, ახალ-სენაკი და მარტვილი და თითოეულს სურვილი აქვს სასწავლებელი დაისაკუთროს. ამასობაში დას-დასობამა და განხეთქილებამ იჩინა თავი, რაც დიდი და დიდი დამაბრკოლებელია საზოგადო საქმისა. თუ რამდენად მავნებელია სამღვდელოებისათვის ეს გარემოება, ამაზე ჩვენ სიტყვას არ განვაგრძობთ, რადგანაც ამის შესახებ ბევრი ითქვა გაზეთში და იმედია სამღვდელოება ამას შემდეგ მაინც შეთანხმდება, სიმართლით მოეპყრობა საქმეს და სასწავლებელს დააბინავებს იქ, სადაც უფრო ემარჯვება. მე კი ამ წერილში შევეხები „ივერიის“ თანამშრომელ-კორრესპონდენტებს, რომელნიც ხელს უშლიან (?) უიმისოდაც დაბნეულსა და აწეწილს მდგომარეობას სასწავლებლისას. გაზეთ ივერიის (№ 189) მეთაურს წერილში სწერია: „ჩვენის ფიქრით, საუკეთესო იქნება სასწავლებელი ისევ მარტვილს დაუთმონ, ვითარცა ისეთს ადგილს, რომელსაც ისტორიული უპირატესობაცა აქვს სხვა დაბა-სოფლებთან შედარებით: მარტვილი მუდამ დედა ადგილი ყოფილა სამეგრელოს სწავლა-განათლებისა და ჰავითა და მდებარეობითაც სჯობნის ფოთსა და დ. ახალ-სენაკს. გარდა ამისა, მარტვილის სამღვდელოებამ დიდი ხარჯიც იკისრა სასწავლებლისათვის საეკკლესიო მთავრობის თხოვნით. როგორც შევიტყუეთ, საეკკლესიო მთავრობის აზრით, სასწავლებელს მარტვილში უფრო ემარჯვება ყოფნა, ვიდრე სხვა რომელსამე დაბა-სოფელში. მართალია, ახალ-სენაკი და ფოთი ზედ რკინის გზის პირად მდებარეობენ, მაგრამ სხვა მხრით-კი მარტვილი უფრო მოხერხებულია“. ისტორიულს უპირატესობას მარტვილისას შეადგენდა შემდეგი: ძველს დროს იქ იყო საეპისკოპოსო კათედრა, როდესაც სამეგრელო მოკლებული იყო უკეთესს ადგილს; ეხლა-კი, რკინისა და სხვა გზების გაყვანის შემდეგ, მარტვილი მდებარეობით უკან სდგას ყველა რკინის გზის პირად მდებარე დაბა-სოფლებზე. ამ უპირატესობის დროს მარტვილშივე იყო სასაფლაო სამეგრელოს მთავრის ოჯახისა და საზოგადოდ დადიანის გვარისა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ მეტი ისტორიული მნიშვნელობა მისცა მარტვილს, რადგანაც მარტვილის ტაძარი შეიცავდა ურიცხვსა და ძვირფასს შეწირულობას, რომელიც ფასითა და მნიშვნელობით დიდის ყურადღების ღირსი იყო. აი, ამ დროს, იმისდა მიუხედავად, რომ სამეგრელოს სამღვდელოებას მარტვილი ძალიან ეშორებოდა, სასულიერო სასწავლებელმაც ბინა იქ დაიკვიდრა. შემდეგ-კი, როდესაც დრო და გარემოება შეიცვალა, მარტვილს დაეკარგა წინანდელი მნიშვნელობა. ჩამოერთვა უპირატესობა და სხვა დაბა-სოფლებს უკან ჩამორჩა. ამასთან ერთად მარტვილს წაერთვა საეპისკოპოსო კათედრის სახელი და უბრალო მონასტრად ჩაითვალა, ბერ-მონაზონთა მყუდრო საცხოვრებელ ადგილად გარდაიქცა. სასწავლებელი ჯერ ქუთაისს იქმნა გადატანილი და შემდეგ დ. ახალ-სენაკს, სადაც დღემდე იმყოფება. ამდენის ხნის არსებობამ სასწავლებლისამ დ. ახალ-სენაკში დაგვიმტკიცა, რომ ახალ-სენაკი დიალაც მარჯვე ადგილია სასწავლებლისათვის. ამას წინაწარ ჰგრძნობდა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც იმ დროებით სამეგრელოს ეპარქიასაც განაგებდა.

ახალ-სენაკი მთელის სამეგრელოს შუაგული ადგილია, რომელსაც ყოველ მხრით გზა ერთვის; ახალ-სენაკში აქვს მუდამი ბინა სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათ. აქ ირგვლივ სცხოვრებენ თავად-აზნაურები, რომლებიც უმეტეს ნაწილად ეკუთვნიან მცოდნე დასს საზოგადოებისას; ამიტომაც მოსწავლე, რომლისათვის რამდენადაც სწავლაა საჭირო, იმდენავე საჭიროა კარგი ზნეობითი ვითარება, სწავლაში დიდს წარმატებას უნდა მოელოდეს. სასწავლებელს დ. ახალ-სენაკში დაქირავებული ჰყავს მაზრის ექიმი, რომელიც საჭიროების დროს დიდს შემწეობას აძლევს სასწავლებელს. დ. ახალ-სენაკში სასწავლებელი ყოველთვის ფრთხილადაა თავისს საქმეში, რადგან ყოველ დღე მოსალოდნელ ია რევიზია. ბავშვის შენახვა, როგორც მოითხოვს სასწავლებლის რიგი და წესი, უფრო კარგად და იაფადაც შეიძლება ახალ-სენაკში. სასწავლებელი და მასწავლებელნი ადვილად შეიტყობენ ხოლმე ყოველ ნაირს კორრესპონდენციას, მთავრობის განკარგულებასა და აგრეთვე ჰპოულობენ სხვა-და-სხვა გასართობს. ერთის სიტყვით, თუ კი სამღვდელოება სიმართლით მოეპყრა საქმეს, კერძო და პირადს ქიშპს გვერდი აუხვია, მაშინ ახალ-სენაკს არ უნდა ასცილდეს სასწავლებელი, რადგანაც იგი შეიცავს ყველა საჭირო გარემოებას სასწავლებლის კეთილდღეობისათვის.

ეხლა დ. მარტვილზე ვილაპარაკოთ. მარტვილი მდებარეობს სამეგრელოს აღმოსავლეთით, შეადგენს თითქმის განაპირას სამეგრელოსას და ზედ ხვანეთი აკრავს; მაშასადამე, მარ-

---

სა და გულის თვისება აქვსთ და ჩინელებს თავიანთი; თუმცა სულთანსა და უბრალო ოსმალეთის გლეხ-კაცს შუა თითქმის არავითარი გარეგანი შედარება და მიმსგავსება არ შეიძლება, მაგრამ მაინც-და-მაინც ორივენი გვიხატავენ ერთსა და იმავე ადამიანის ჭკუას, რჯულს, ადათს, ზნეს, ხასიათს და მთელის ადამიანის შინაგანს ღირსეულობას, რომელიც ერთის სიტყვით გამოითქმევა: «ოსმალი». სიტყვა ჩინელი აგრეთვე გვიხატავს ერთსა და იმავე შინაგანს ღირსეულობას როგორც ბოგდიხანისას, აგრეთვე უბრალო ჩინეთის მუშისას. ვინ არ იცის, გარდა უმეცართა, რომ ქონებრივი მეტ-ნაკლებობა მხოლოდ ფერს აძლევს ერის სხვა-და-სხვა წოდების ზნე-ხასიათსა და იმისს ცხოვრებას და შინაგანი ღირსეულობა-კი ყველგან ერთი და იგივე რჩება, ესე იგი ეროვნული: ქართველი, როგორც ჭკუისა, გულისა, სულისა და ზნე-ხასიათის წარმომადგენელი, მაინც კიდევ ქართველია, გინდ თავადი იყოს, გინდ გლეხი.

წარმოვიდგინოთ, რომ შუათანა შეძლების კაცი დროს გასართობად ცუდა-მადა მწერლობას გამოუდგა; წარმოვიდგინოთ კიდევ,—რა არ მოხდება ჩვენს მწარე წუთი-სოფელში—რომ ერთს მშვენიერს განთიადს ჩვენი მწერალი რაიმე მიზეზით რიყეზედ დარჩა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შინაგანი კაცური ღირსეულობა ჩვენის მწერლისა იგივე დარჩება, როგორც თავისის ცუდა-მადა ჯლაბნის დროს, თუ გინდ პოლსაპოჟკების მაგივრად ქალამნები ჩაიცვას, ვიზიტკის მაგივრად ფარაჯა და ნაცვლად კალმისა ხელში მხარზედ კომბალი გაიდოს და სანატრელს ძროხასა და ხბორებს სდიოს. მართალია, შეიძლება, შეუჩვეველობის გამო, ჩვენმა ლიტერატორმა ღამის მეხრეობას ვერ გაუძლოს, დაიტანჯოს და ბოლოს ფეხებიც გასჭიმოს, მაგრამ, ვიმეორებთ, იმისი შინაგანი კაცური ღირსეულობა, ესე იგი იმისი ამხანაგობისა, ძმობისა, მეგობრობისა და ჭეშმარიტების გრძნობა, იმისი გამბედაობა, კეთილის საქმისათვის თავ-განწირულობა და მთელის იმისის ხასიათის სიმაგრე არ შეიცვლება და სამარემდე იგივე დარჩება. მართალია, როდესაც მეძროხობაში შიმშილით კუჭი საკმაოდ გაუხმება, ბევრჯელ მოწიწებით მოიგონებს ერთის ხელმწიფის ნატვრას, რომ ყოველს უბრალო კაცს საკვირაოდ მაინც ჰქონდეს ქათმის წვენიო, მაგრამ თუ მწერლობაშიაც იგი საყოველთაო ბედის განკარგებაზედ არასა ჰფიქრობდა, ეხლაც ქათმის წვენს მხოლოდ თავისის საკუთარ მუცლისათვის ინატრებს; იმას-კი თავისს დღეში ვერ მიხვდება, რომ თუ კაცი გულ-მოდგინედ იმაზედ არა ზრუნავს, არა ჰფიქრობს, სიტყვით და საქმით არა სცდილობს, რომ ყოველს მშრომელს თავისის საკუთარის შრომის ნაყოფი მიეცეს, მუდამ და ყოველთვის თვითოეული კაცი ბრმა ბედისა და იღბლის მსხვერპლი იქმნება, რასაცა ვხედავთ ჩვენს წარსულსა და აწმყო ცხოვრებაშიაც; ბევრჯელ გუშინდელი ქვეყნის მებატონე დღეს დღიურის ლუკმის მთხოვარად დადის და დღევანდელი ხელგაუნძრეველი უკანასკნელი მატანტალა, ვინ იცის, იქნება ხვალ იმავე ბრმა იღბლის ძალით ბატონად გახდეს. როდესაც ერის ცხოვრებას თავისს საფუძვლად არა აქვს მტკიცე რიგი და წესი, მაშინ ყოველ კერძო კაცის წოდების მნიშვნელობაც არეული და დაქსაქსულია; დღეს ჩვენი გლეხობა და აზნაურობა ერთი ერთმანეთში არეულია და თუ კაცმა იმათი ცხოვრება ჭეშმარიტის თვალით განიხილა, უეჭველად ორივეში ჰპოვებს ერთსა და იმავე ეროვნულს ზნესა და ხასიათსა, ავსა და კარგსა. თუ ძალიან ხშირად არა, არც ისე იშვიათად მოიპოვება ყოველ ჩვენის ქვეყნის კუთხეში აზნაურიშვილის ოჯახი, რომელიც ისე ხშირადა და ხელოვნურად ჰხმარობს თოხსა, ბარსა, ცულსა და ნამგალსა, აგრეთვე სხვა-და-სხვა შრომის იარაღსა, როგორც ჩვენი გლეხი კაცი. ამიტომაც ჩვენ სრული ნება და საფუძველი გვქონდა გამოგვეთქვა ჩვენს წარსულს წერილში ის აზრი, რომ ჩვენში საზოგადოდ არაფერი შესანიშნავი განსხვავება არ არსებობს სხვა-და-სხვა წოდების ოჯახთა შუა: შინაგანი ხასიათი და ღირსეულობა ყველგან ერთი და იგივეა. ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ ზოგიერთმა ჩვენმა ოჯახის შვილმა ვერ გაიგო ჩვენის აზრის ჭეშმარიტება, არ გვიკვირს, რადგანაც ჩვენის დროის ცრუმეცნიერობის მოწაფენი მხოლოდ იმისს გაგებას არიან ნასწავლნი და შეჩვეულნი, რომ კამბეჩს ოთხი ფეხი აბია და კაცს-კი ორი.

ყოველის უმეცარის ოჯახისა და ოჯახის შვილის ერთი შესანიშნავი თვისება ის არის, რომ ყველგან და ყოველთვის იმას თავისი თავი, თუ ყველაზე კარგი არა, თავისს დღეში არავისზედ უარესი არცა ჰგონია და ვერც დააჯერებ და დაუმტკიცებ, რომ ვინმე იმას რითიმე სჯობია. იმისის ჭკუისა და გულის მოძრაობა არაფერს ცხოვრების განკარგებას არ მოითხოვს, რადგანაც ერთხელ და სამუდამოდ თავისის უმეცარის ჭკუით გადაუწყვეტნია, რომ შედარებით ის გარეშემო ხალხს არაფერში არა დაუვარდება და ეს მარტო იმიტომ, რომ სხვა პირუტყვსავით კუდი და რქები არ აბია, და ამითი ხომ იმისი თავ-მოყვარეობა სამუდამოდ დაშოშმინებულია. თუმცა სიტყვით ჩვენს ცხოვრებას თვითონ ჩვენის ოჯახის შვილიც ემდურება, მაგრამ სხვისა სურვილი ჩვენის აწმყო ცხოვრების განკარგებაზედ იმას საშინლად ეჯავრება, რადგანაც ყოველი ცხოვრების განკარგება ტვინის მოძრაობასა, გულის ღელვასა, ხელის განძრევასა და საზოგადოდ ბევრს წვალებასა და გარჯას მოითხოვს და ის-კი მამა-პაპურად ნიადაგ უზრუნველობას შეჩვეულია. ან-კი რამ უნდა აუტკიოს განკარგებისათვის ან თავი, ან გული, როდესაც თავისს ოჯახს და თვით იმ სასწავლებელს, სადაც სწავლა-განათლება მიუღია, იმისს თავსა და გულში ცხოვრების განკარგების არავითარი სურვილი არ დაუბადნია! თავისის უმეცარის ჭკუით ჩვენს ქვეყანას აჯერებს, რომ თვით ჟამთა ვითარება, ჩვენდა ხელ-გაუნძრეველად, ყოველს ბოროტს მოგვაშორებს და ჯილდოდ საქაოს პირუტყვულ მოთმინებისა ცაში სამოთხეს გვიქადისო. ჩვენთვის ვერაფერი ნუგეშია, რომ სხვა ერის ოჯახშიაც იგივე ნაკლულევანება მოიპოვება, როგორც ჩვენშიო. ის ერი, რომელიც ბაირონებსა ზრდის, რასაკვირველია, სრულებით უნაკლო არ იქნება, მაგრამ რადგანაც ბაირონი თავისის ერის ცხოვრების ღვიძლი შვილია, აუცილებელი საქმეა, რომ ჩვენი ოჯახი და ცხოვრება ბაირონის

ტვილი მთელის სამეგრელოს სამღვდელოებისათვის საშუალი ადგილი არა ყოფილა. იმისთვის, რომ სამეგრელოს სამღვდელოებამ იქონიოს მარტვილს მისვლა-მოსვლა, რამდენიმე მდინარე უნდა გაიაროს. ამ მდინარეებზე არ არის ხიდები. წარმოიდგინეთ ხანდისხან მდგომარეობა მამაშვილისა, რომელნიც მარტვილს მიდიან. ხშირად უკანვე უნდა დაბრუნდნენ ხოლმე, ან სადმე სოფელში უნდა მოიცადონ, მანამ წყალი დაიკლებს. ადვილად მოსალოდნელია უბედური შემთხვევაცა და ხშირადაც მომხდარა ხოლმე ძველს დროში. მარტვილში სასწავლებელს არ შეუძლიან საკუთარი ექიმი დაიქირაოს, რომლის უყოლობა სასწავლებელს დიდს ვნებას მისცემს. ჩვენ გვახსოვს მრავალი შემთხვევა, რომ მოსწავლენი უბრალო ავადმყოფობას უმსხვერპლია ხოლმე.

ამას გარდა მარტვილი, ვითარცა მივარდნილი ადგილი, ნამდვილი ბუდეა ცრუ-მორწმუნოებისა. მოსწავლეებს ყოველთვის ესმოდათ, რომ ამა-და-ამ ღამეს ვიღაც მგზავრს ველური კაცი დაეცა, გალახა მგზავრი და მკვდარ-ცოცხალი დასტოვაო; მარტვილის ახალ გზის პირას სცხოვრებს ჭინკა და მგზავრთ ქვას ესვრისო. აი, ამ ნაირი ცრუ-მორწმუნოება ზოგიერთ ძველთ მოსწავლეთა სამუდამოდ ჩაენერგათ სულსა და გულში. ეხლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მარტვილი სრულიად არ არის მარჯვე ადგილი სასწავლებლისათვის.

მარტვილის სამღვდელოება რიცხვით ძალიან მცირეა. ამ მცირე რიცხვს სამღვდელოთას იმისთანა მოკლე ხანში თუ როგორ შეეძლო ათი ათასის მანეთის შეგროვება სასწავლებლისათვის, ძალიან ძნელი წარმოსადგენია. თვით მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ეგზარხოსს პალადის მოხსენდა, რომ ეს ფულები მარტო მარტვილის საზოგადოებას არ შემოუტანია, არამედ შეგროვდა მთელ სამეგრელოს სამღვდელოებაში გაელენიან კაცების მეცადინეობით...

ა. ნატოჩოველი

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოგვეპოვებინა ქართული წიგნები და გაგვემართა პატარა საკითხავი იმ სოფლელთათვის, რომლებმაც წარსულ ზამთრის ღამეებში მოასწრო წერა-კითხვის შესწავლა ჩემდამო რწმუნებულს ქვემო სურების კერძო სკოლაში, და სხვებისათვისაც. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ სურების საზოგადოება მეტად მიყრუებული და მივიწყებულია, და აქ წიგნის ხსენებაც არ იყო. ამ ჩვენს განზრახვაში ხელი მოგვიმართეს და შემდეგი წიგნები შემოსწირეს წიგნთ-საცავისათვის:

„წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“: „ლომ-კაცი“, „რობინზონ კრუზე“, „ვისრამიანი“, „შალვას თავ-გადასავალი“, „ხატაური“, „ექიმობა და დარიგება“, „არსენას ლექსი“, „ბუნების მოვლენანი“ და 11 ეგზემპლიარი ქართულად ნათარგმნი კრილოვის „იგავ-არაკნი“.

ქ-ნმა ნინო ბუთხუზის ასულმა: „დიმიტრი თავ-დადებული“, „მამიდა ასმათი“ და „ბუნების მოვლენანი“. ბ-ნმა არსენ კალანდაძემ: «თამარ-ბატონიშვილი» და „თამარ-ცბიერი“. სემინარიის შეგირდმა ბ-ნ ნიკო რამიშვილმა: „ქართული ქრისტომატია“ ნასიძისა და ანტონ ფურცელაძის თხზულებათა მეორე წიგნი და ნიკო ტარიელის ძე რამიშვილმა თითო ცალი „წყარო“ და „გაზაფხული“.

ყველა ამ შემომწირველთ დიდს მადლობას ვუძღვნით და აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ სხვებიც ხელს მოგვიმართავენ.

ქვემო სურების კერძო სკოლის მასწავლებელი ისიდ. რამიშვილი

## წვრილი ამბები

პრინცს უელი'ს განუზრახავს ლიტერატორობა დაიწყოს და ლონდონის ჟურნალს დაჰპირებია, რომ ჩემს დათვზე ნადირობას აღვიწერთ სედმიგრადიაშიო.

— 27 სექტემბერს შესრულდა სწორედ ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც ბერლინში პირველი აეროსტატი აუშვეს.

— მორმონთა და ამერიკელთა საჩივარი შტატ უტახის უმაღლესმა სასამართლომ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადასწყვიტა. სასამართლომ დაინახა საჭიროთ თურმე, რომ უნდა გაუქმდეს მორმონთა ეკკლესია და აიწეროს იმათი ქონება ამერიკელთა სასარგებლოდაო.

— შექსპირის დაბადების ადგილას, ავონის სტრატფორდში, აუგიათ ახალი ძეგლი, გაკეთებული ქალაქის საჩუქრად ლორდ რენალდ გოუერთანის მიერ. ძეგლი ბრინჯაოსია, სწორედ იმ სიმაღლისა, რა სიმაღლისაც თითონ დიდებული დრამატურგი ყოფილა. კუთხეებში გამოუყვანია შექსპირის ოთხი გმირი— ჰამლეტი, რომელიც ადამიანის თავის ქალას, სამარედგან ამოღებულს, ჰსინჯავს; ფალსტაფი, რომელსაც ხელში დაცლილი ბოთლი უჭირავს; ლედი მაკბეტი, რომელიც სცდილობს, რომ კაბიდგან სისხლის ნაწინწკლარი მოიშოროს, და პრინცი გალი, რომელიც მამის გვირგვინს იზომავს.

— სოფელს გრეფფენტონნს, გოტს ახლო, წარსულს კვირას შემდეგი დრამა მომხდარა: სოფლის სასწავლებელში მიუწვევიათ მასწავლებლად ერთი ყმაწვილი ქალი, პასტორის ქალიშვილი. იმავე სასწავლებელში მასწავლებლად ყოფილა ერთი ახალგაზდა ფილოლოგი. ყმაწვილს კაცს შეჰყვარებია მასწავლებელი ქალი და შერთვა უთხოვნია, მაგრამ ქალს უარი უთქვამს. რათა სამაგიერო გადაეხადნა, მასწავლებელს აუღია დამბაჩა, შეპარულა ქალის ოთახში და იქ დამალულა. როცა ქალი გულ-უბრყვილოდ შესულა თავისს ოთახში და დაუწყია ტანისამოსის გახდა, ყმაწვილს კაცს თავი გამოუჩენია და სამჯერ დაუხლია დამბაჩა. ტყვიები თავში მოხვედრია ქალს და, რაღა თქმა უნდა, იქვე მკვდარი გადაქცეულა. ამას შემდეგ ყმაწვილს კაცს იმავე დამბაჩით თავისი თავიც მოუკლავს.

— პარიჟიდგან შემდეგს საკვირველს ამბავს აუწყებენ საზღვარ-გარეთის გაზეთებს: მოქანდაკე ფილიპე მ—ნს ამას წინად შეუსრულებია თავისი ქანდაკება ვენერასი, რომელიც ყვავილებზე დასვენებულადა ყოფილა გამოქანდაკებული. აგვისტოს პირველს რიცხვებში ამ კაცს მოსვლია 18 წლის ვაჟიშვილი, მეტად სუსტის ჯან-მრთელობის ყმაწვილი. ამ ყმაწვილს ყველაზედ მეტად ის ესიამოვნებოდა თურმე, რომ მჯდარიყო და ამ ვენერას ქანდაკების ცქერით დამტკბარიყო. მთელის საათობით იჯდა თურმე ყმაწვილი ქანდაკების წინ და თვალს არ აშორებდა. ბოლოს დროს მოქანდაკეს ოჯახობამ შენიშნა თურმე, რომ ყმაწვილი შეიცვალა, ხასიათები წაუხდაო, და ამიტომ გადასწყვიტა ქანდაკება გაეტეხნა. როცა ეს გარდაწყვეტილება აღასრულეს და ყმაწვილმა კაცმა გაიგო ქანდაკების დამტვრევა, მწუხარებისაგან შეიკეტა თურმე თავისს ოთახში და თავი ჩამოიხრჩო.

## გასართობი

შპანდაუში ამას წინად ერთი საზარელი ამბავი მოხდა: გემიდგან ცამეტი ნიანგი, ხვითქი ელბაში გადაცვივდა. ამაზედ დიდი ალიაქოთი ასტყდა; ველარავინ ჰბანაობდა ელბაში, რადგან ხვითქებისა ეშინოდათ, არა აგვიტეხოს-რაო. აი ამის გამო რა სასაცილო ამბავი დამართებიათ შპანდაუს მცხოვრებლებს. ხიდზედ გავლის დროს უნახავსთ მდინარეში ზემოდგან უშველებელი ხვითქი, რომელიც თითქო მზეზედ თბებაო, მდინარის პირს არა შორდებოდა თურმე. დიდს ყოყმანს შემდეგ ამ საზარელ ზღვის ნადირთან ნავით მისვლა გაუბედნია პოლიციელს, მისულა და რა უნახავს: ხვითქად მოჩვენებული უბრალო ხის კუნძი ყოფილა, ხვითქსავით გათლილი. ეს გათლილი ხე, თქმა არ უნდა, ვიღაც ხუმარას გადუგდია და ზედვე მიუწერია: „მე მეცამეტე ხვითქი ვარო. გამოვიპარე ჰამბურგიდგან, რათა შპანდაუში მოვსულიყავ და გეჩვენებოდითო“. ეს ცრუ ხვითქი, წონით 95 გირვანქისა, პოლიციაში წაუღიათ.

**

აი კიდევ ერთი სხვა ახირებული ადამიანი ამერიკისა. მდიდარსა და შეძლებულს ქვრივს დედაკაცს მერი ბელლს ერთი გოშია ჰყოლია, რომელიც მთელს ქვეყანაზედ ძვირფასად მიაჩნდა თურმე. უეცრად გოშია ავად გამხდარა. მაშინვე მოუწვევიათ ათი ექიმბაში კონსილიუმის შესადგენად, მაგრამ, საუბედუროდ, გოშიას პირი არ მოუბრუნებია და მოკვდა. ქვრივის მწუხარებასა და ცრემლებს საზღვარი არა ჰქონდა თურმე. ბოლოს გონებაზედ მოსულა ქვრივი ბელლი და გადაუწყვეტია „ღირსეულად“ დამარხვა თავისის საყვარელის გოშიასი: შეუკვეთნია ძვირფასი კუბო, უყიდნია არისტოკრატთა სასაფლაოზედ ნიუ-იორკს სამარხი ადგილი და დიდის „ზარითა და ზეიმით“ მიუბარებია გოშიას ძვლები გაუმაძღარ სამარისათვის. ერთს კვირას შემდეგ მშვენიერი მარმარილოს ძეგლი აუგებინებია გოშიას სამარეზედ. ეს ამბავი შეუტყვია საზოგადოებას და ატეხილა ერთი აურზაური და დავიდარაბა. ამ მკვდართა ნათესავები, რომელნიც ამ ძაღლს ახლოა დასაფლავებული, თხოულობენ თურმე ძაღლის ამოგდებას სამარიდგან და წერილებიც გაუგზავნიათ ქვრივისათვის, მაგრამ იმას ყურადღებაც არ მიუქცევია. სასაფლაოს ადმინისტრაციის წევრნი მისულან, დასასრულ, ქვრივისას, რომელთაც წინად განსვენებული ადამიანი ჰგონებიათ და არა გოშია, მაგრამ ბელლი არც-კი სჩვენებია და კარების დირეზედაც არ მიუშვია. ქვრივი რომ ვერაფრით დაუყოლიებიათ, ადმინისტრაციას თითონვე გადუწყვეტია გოშიას ძვლების სამარიდგან ამოყრა და ასეც მოქცეულა. ეხლა ქვრივი ბელლი სჩივის თურმე სასამართლოში და ასეთ უკანონო მოქმედების ჩამდენთა დასჯასა თხოულობს.

## დეპეშა

8 ოქტომბერი

პარიჟი. წარსულს ღამეს გაერში გერმანიის საკონსულოდგან მოჰკლიჯეს გერბი და შემდეგ ქუჩაში იპოვეს, ტალახში ამოსვრილი. პრეფექტის ხელქვეითი მაშინვე მივიდა გერმანიის კონსულთან და თავისი მწუხარება გამოუცხადა ამ შემთხვევის გამო.

---

ალმზრდელს ოჯახს ვერასოდეს ვერ დაედარება. მაშ რამდენად წინ უნდა წაიწიოს ჩვენის ოჯახის ცხოვრებამ, რომ იმასაც თავისი ბაირონები და პუშკინები ჰყავდეს?!

გარდა ამისა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენში ბევრის ცხოვრება საგანგებო და მეტის-მეტს გაჭირებულს მდგომარეობაშია და ეს ხომ აშკარაა, რომ რამდენადაც კაცი დიდს გაჭირებაშია, იმდენად უფრო დიდ-ძალი ჭკუა-გონება და ზნე-ხასიათი უნდა გამოიჩინოს, რომ თავისი კაცური კალობა და შინაგანი ღირსეულობა დაიცვას, რომ საქვეყნიერო ასპარეზზედ, გამარჯვებული თუ არა, ისე გალარიბებული მაინც არ დარჩეს. აი ის უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც ჩვენს ოჯახს დასაქცევადაც არ დავინდობთ, თუ იგი თავისს დიდს მოვალეობაში ფარსაგად თავს ვერ გამოიჩენს. მაგრამ ჩვენმა დაუნდობლობამ ბ-ნი ნ. ხ, (იხილე ივერია № 134) დიდს აღშფოთებაში მოიყვანა და ჩვენი აზრი ჩვენს ოჯახზედ ცარიელ ცილის წამებად მიიღო. აქ ბ-ნი ნ. ხ. ყველას თავისის ზომითა ჰზომავს: ალბად თითონ ცუდ-უბრალოდ ცილის წამებას არის დაჩვეული და, რადგანაც ჩვენს აზრს ვერ მიხვდა, თავისებურად ახსნა ჩვენის წერილის შინაარსი, და გაუგებარ კაცთან რაღა გვეთქმის. ღმერთმა შვიდობისა და გამარჯვების გზა მისცეს თავისს „არა-ლიტერატორობის“ ყოფა-ქცევაში!

დიაღ, ძალიან ძნელია გააგებინოს კაცმა ჩვენს ოჯახს და იმისს შვილს ყოველი თავისი კეთილი აზრი და სურვილი, ძნელია, რადგანაც ჩვენის ოჯახის შვილს თავისის საკუთარის თავითა და გულით არც ერთი ნათელი აზრი და ღრმა გრძნობა ნაცნობი და შეთვისებული არა აქვს; როგორ უნდა, მაგალითებრ, აუხსნას კაცმა, რაში მდგომარეობს გონება-გახსნილ ადამიანისათვის „წმინდა გრძნობა“ და „უანგარო სიყვარული“, როდესაც იმას ყოველ ფურ-კამბეჩის პირუტყვული გრძნობა თავისის ზაქის მიმართ წმინდა ადამიანურ გრძნობად მიაჩნია.

უკაცრავად-კი ნუ ვიქმნებით მკითხველთან და ძაღლი რომ ლეკვებს დაჰყრის, ისეთის ალერსითა და მოწიწებით ჰლოკავს ენით თავისს შვილებს, გეგონებათ თითქოს მშობიარე დედაკაცი ეალერსება თავისს სიყრმის შვილსაო და თუ ამ დროს ბატონს ნ. ხ—ს რაიმე ჩვეულებრივ უმეცრების მიზეზით სურვილი მოუვიდა ლეკვებს ხელი ახლოს, ვაი იმისის ხელების ბრალი: ძუკნა შვილებთან არ მიუშვებს, ხელს მოაჭამს და ამით მაინც გააგებინებს, რომ ზოოლოგიური სიყვარული დიდი რამა ყოფილა, მართალია, სხვა გვარი, მაგრამ იქნება უფრო ძლიერი, ვიდრე გონება გახსნილის ადამიანისა. ეს კიდევ არაფერი. თითქმის თვემდე დედა ძაღლი თავ-დადებულია თავისის შვილებისათვის და თავ-განწირულადა და ჯან-დაუზოგველად ემსახურება, უვლის, აძლევს საზრდოს, თვითონვე სწამლობს თავისს შვილებს, ასწავლის ყველაფერს, რაც-კი იმათ მომავალ ძაღლურ ცხოვრებაში გამოსადეგია, და სანამ თავისუფლად შეიძლებენ ძაღლურ ტანტალსა და ცხოვრებას, მანამ იმათის მტრის პასუხის გამცემი ერთად-ერთი დედა ძუკნა ძაღლია. რა კი დედას ამაგით ლეკვები წამოიზრდებიან და ძაღლურის ცხოვრების საგანს—მუდამ ტანტალსა და წანწალს გაიგებენ, დედა შვილური სიყვარული უქმდება და დედა-შვილური გრძნობა იკარგება. რამდენისამე თვისა ანუ წლის შემდეგ შვილი დედასა და დედა შვილს ერთმანეთს ჩაჰკლავენ ადამიანისაგან სამადლოდ გადაგდებულ ძვალისათვის: ავიწყდებათ თავიანთი დედა-შვილობა და ძაღლურ ცხოვრების გამო ერთმანეთი მტრად მიაჩნიათ. აი სწორეთ ამ წუთიდამ იწყება ის დიდი განსხვავება, რომლითაც, ღვთის მადლით, ადამიანის საზოგადოება პირუტყვისას დაჰშორდა: იქ, სადაც პირუტყვული დედა-შვილური გრძნობა და სიყვარული სწყდება, იქ ნამდვილი ადამიანური გრძნობა და სიყვარული იწყება; რაც უნდა დიდი მხნეობა და თავ-განწირულობა გამოიჩინოს ქართველმა დედამ თავისის შვილების ავადმყოფობის დროს, მაინც კიდევ ეს მხნეობა ვერ დაგვიმტკიცებს იმისს მიერ მოვალეობის აღსრულებას. გარდა ძვალისა და ხორცის კეთილდღეობისა, მან უნდა იზრუნოს თავისის შვილების აზრისა, სულისა და გულის საზრდოს შემატებაზედაც.

მართალია, ჩვენის ოჯახის შვილი იხსენიებს კიდევ მამა-შვილურ გრძნობას, რომელიც ვითომ „ღრმად იმალება ადამიანის სულში და რომელიც გაჭირებაში ანათებს, როგორც ჩირაღდანი და ათბობს, როგორც გაზაფხულის მზე“, მაგრამ... მაგრამ ის-კი დავიწყებია, რომ ამაზედ დიდი გაჭირება, რომელშიაც ჩვენი ცხოვრებაა, აღარც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა და რაღა შავის დღისათვის ინახება ეს ღრმა გრძნობა, ამაზედ ბ-ნი ნ. ხ. არას გვეუბნება. აი, ჩვენ შვილები და ის მამა, გაგვინათოს და გაგვათბოს; გაზაფხულის მზე ნუ იყოს, ბუხარსაც დავსჯერდებით, ჩირაღდანი ნუ იყოს, ქონის სანთელი აგვინთოს, გზა გვიჩვენოს და გაგვინათოს! მხოლოდ უბედურება ეს არის, რომ ცარიელის ბაქი-ბუქით საყდარი არას დროს არ აშენებულა.

ჩვენ თვითონ ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენს ოჯახში მოიპოვება იგივე ზოოლოგიური და ინსტინქტიური გრძნობა და სიყვარული, მაგრამ ეს გარემოება გვიმტკიცებს მხოლოდ ჩვენის ოჯახის ახლო ნათესაობას ზემოხსენებულს პირუტყვებთან და ეს ნათესაობა, არამც თუ საკვეხურად, სათაკილოდაც მიგვაჩნია, რადგანაც ჩვენ, მადლობა ღმერთს, დიდი ხანია ცხოვრების პირუტყვულ მოთხოვნილებისათვის თავი დაგვინებებია და წუთი-სოფლისაგან მოვითხოვთ ისეთს ჭკუისა, სულისა და გულის საზრდოს, რომელიც იქნება თვით ბ-ნს ნ. ხ—ს სიზმარშიაც არ მოზმანებია.

რადგანაც ბ-ნმა ნ. ხ—მა თავისი თავი ქართულის ოჯახის ქომაგად აღიარა, ამიტომაც უნდა ეჩვენებინა თავისს საყვარელ ისტორიულ და ეტნოგრაფიულ საბუთებით, თუ გინდა ჩვენის ოჯახის დღე-დღეურის ცხოვრებიდგან ამოკრეფილ ცნობებით, რა აზრი და საგანი აქვს ან ჩვენს ოჯახს, ან იმისგან აღზრდილს შვილს თავისს სიცოცხლეში და ამ გვარად უნდა დაემტკიცებინა, რომ გარდა ზოოლოგიურის სიყვარულისა და გრძნობისა, ჩვენის ოჯახის შვილს მაღალ აზრისა და ადამიანურ გრძნობისაც ესმის რამე. ეხლა-კი, რადგანაც ჩვენ იმისგან გავიგონეთ მხოლოდ უსაფუძვლო და ადვილი ქომაგობა, ნება გვაქვს იმისი წერილი უმეცრების ჩვეულებრივს მეტიჩრობას მივაწეროთ და ამისათვის ნუღარას დაგვემდურება.

ნ. გ—ლი

**პეტერბურგი.** ს.-პეტერბურგის ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკთა გირავნობის ფურცლები ფასობს 97 მან. ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაციებში იძლევიან 81 მან.

9 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** «Новое Время» გვაუწყებს, რომ ხარკოვის სამხედრო ოლქი გაუქმებული იქმნება და ამ ოლქის ჯარები კიევისა და ოდესის სამხედრო ოლქთა მხედართ-მთავარს დაექვემდებარებიანო.

**ბაქო**, გუშინ, ნაშუადღევის პირველს საათზედ, მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მოვიდნენ ბაქოს და დახვედრილ იქმნენ გუბერნიის წარჩინებულთა კაცთა მიერ. ქალაქის თავმა პურ - მარილი მიართვა; მანვე და გუბერნიის უფროსის მეუღლემ ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვეს მშვენიერი ყვავილების კონები. სასახლეში წაბრძანების დროს მათ უდიდებულესობათ გზად, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი ალტაცებით ეგებებოდათ, შეიარეს ძველის ციხის ეკკლესიაში, რომლის კარებზედაც მიეგებათ საქართველოს ეგზარხოსი პალადი. სასახლეში მისვლის დროს მათ უდიდებულესობათ დეპუტაციები მიიღეს, რომელთა შორის იყო დეპუტაცია იმიერ-კასპიის ოლქის თურქმენებისა. ამ თურქმენებს წინ უძღოდათ გენერალი კამაროვი და პოლკოვნიკი ალიხანოვი. თურქმენების დეპუტაცია მშვენიერის ტანისამოსით იყო მორთული. დეპუტატთა შორის ერია მერვის ხანის მეუღლე, რომელმაც 1884 წ. დაიყოლია თემი რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო. პატარა ხანს უკან მათნი უდიდებულესობანი დაესწრნენ პირველის მართლ-მადიდებელთა ტაძრის საძირკვლის ჩაყრას. პირველი ქვა საძირკვლისა თავისის საკუთარის ხელით გაამაგრა ხელმწიფე იმპერატორმა.

**ბაქო.** გუშინ მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ვზად მიმავალი ქარავანი აქლემისა, ჯორისა, სახედრისა და თათრულ - ყიზილბაშური ურმები. როცა დაბინდდა, მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო და შუშხუნებს ისროდნენ. მისმა უდიდებულესობამ იმპერატრიცამ, მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ ინებეს და ნახეს ცეცხლის თაყვანისმცემელ ინდუსთა კვრიევი; შემდეგ მისმა უდიდებულესობამ იმპერატრიცამ ინება და მიირთვა ბაქოს ნავთის საზოგადოების გამგეს მიერ მირთმეული ჩაი. ამ დროს ქ-ნმა ბაშკირეევისამ ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვა ყვავილების კონა, ხოლო მემკვიდრე ცესარევიჩმა-კი კეთილ ინება მიეღო მშვენიერი ალბომი სურახანის სანავთო ადგილების სურათებისა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ოქტომბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგებულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 53 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 262½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 237½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 0 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | **სამტრედია.** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 11 | 02 | 1 | 17 | **რიონი.** . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი.** | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი.** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა.** . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი** . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია.** | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი. . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ ქურნალურის დადგენილობის ძალით 1-ლს სექტემბერს № 23, მუხ. III, 1888 წლის პირველ ნოემბრისათვის თავისს კრებაზედ დანიშნა ვაჭრობა ნარდად გაცემაზედ ქვის ეკკლესიის აშენებისა, სასწავლებლის უმთავრესის შენობის გვერდით. ამ ვაჭრობას, კანონისამებრ, უნდა მოჰყვეს სამის დღის შემდეგ გამეორებითი ვაჭრობა. ვაჭრობის დროს ნება დართულია მოცილეობა მოვაჭრეთა შორის, როგორც სიტყვიერად, აგრეთვე დაბეჭდილის განცხადებების საშუალებით. ამ შენობის ასაგებად დამტკიცებულის ხმეტისამებრ დანიშნულია საკუთრად მუშაობისათვის და სხვა და სხვა მასალებისათვის 16,443 მან. და 81 კ. ამ ფულის ანგარიშში ნარდად ამღებთ ნება აქვსთ შენობისათვის იხმარონ ძველის ტაძრისა და ძველის ციხის ქვები, სასწავლებლის შენობის მახლობლად, თანხმობით სასწავლებლის სამმართველოისა. სიტყვიერს ვაჭრობაში შემოსვლა ვისაც ჰსურსთ, ვალდებულნი არიან ვაჭრობისთვის დანიშნულს დღეს 12 საათამდე შემოიტანონ ამაზედ განცხადება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში. ამ პირთა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ორი მოწმობა—გილდისა და თავიანთ წოდებაზედ და აგრეთვე მისაღებად ნება დართული გირაოები. გირაონი, სანარდო ფულის ერთ მესამედად ღირებულნი, უნდა შეადგენდენ ან ნაღდს ფულს, ბანკის ბილეთებს და სხვა კრედიტის ქაღალდებს, ან გირაოს მოწმობებს ქალაქის მამულებზედ. გირაოს მიმცემთა რწმუნების წერილებში უნდა იყოს ნათქვამი, რომ ისინი მიანდობენ რწმუნებულ პირთ გირაოებს წინდად სამუშაოს ნამდვილად აღსრულებისა და ბეთ დატოვებულის ფულებისა, აგრეთვე ყველა სხვა გარდასახადთა და ჯარიმათა, რომელნიც შეიძლება დაატყდეს ნარდად ამღებს ნარდად აღებულის საქმის გამო, თუ ეს ყოველივე არ იქმნა მოხსენებული, გირაოებს არ მიიღებენ.

საზოგადოდ განცხადებებს ვაჭრობაზედ უნდა დაკრული ჰქონდესთ გერბის მარკები და დაწერილი უნდა იყოს ფორმისამებრ, რომელიც თან დართული აქვს მუხ. 1909 ტ. X, ნაწ. 1. განცხადებაში უნდა აღნიშნული იყოს ფასი ასოებით დაწერილი და თან გამოცხადებული უნდა იყოს სურვილი ნარდად საქმის აღებისა ყოველფერში თანახმად ვაჭრობაზედ წარმოდგენილის პირობებისა, პროექტისა და სმეტისა. განცხადებები, რომლებიც ამა მოთხოვნილებათა თანახმად არ იქნება დაწერილი, ჩაითვლებიან გაუქმებულად.

ვისაც ჰსურს ნახოს პროექტი და სმეტა ამ ნარდად ასაღების საქმისა, შეუძლიანთ მიიქცენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველთან ყოველ დღეს, დილით 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ზედამხედველთან აგრეთვე შეიძლება შეიტყონ უადვილესი საშუალება ადგილზედვე წყლის შოვნისა და შენობისათვის ვარგისისა და გამოსადეგის ნანგრევ ქვების მოგროვებისა. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი
# მამიდა ასმათი
მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
## წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გუგუნავა (?) ლისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |

დაიბეჭდა და ისყიდება
გაზეთ „მეურნის“ გამოცემა
# ვაზის ობი
(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი
პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით
ვ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.


Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე